# თავისუფალი საქართველო

№26
16 - 22 ივლისი
1996 წ.
ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)



ეროვნული ბიბლიოთეკა


## აფხაზეთი: გაერო-ს მორიგი კერძი

გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო მორიგი რეზოლუცია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით და მოიწონა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ამ საკითხში.

ნიშანდობლივია, რომ ლევან ალექსიძემ ამ დოკუმენტის შეფასებისას უმალ დაიზღვია თავი და აღნიშნა, რომ რეზოლუცია, შესაძლოა, შესრულდეს, შესაძლოა, არც შესრულდეს. თუმცა ამ კომპეტენტური კომენტარის გარეშეც ნათელია, რომ ამერიკა-რუსეთის ერთობლივ სამზარეულოდ წოდებულ გაერო-ში კიდევ ერთი არომატული კერძი მომზადდა და მას, საქართველოს ნაცვლად, თავად მზარეულები მიირთმევენ.

ასეც რომ არ იყოს - რას ნიშნავს საქართველოს პოლიტიკის მოწონება? რა პოლიტიკას აწარმოებს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში, ან რაში ვლინდება ეს პოლიტიკა? ლტოლვილებით გადატენილ სასტუმროებში, თუ ბაზრობებზე, რომლებსაც დროდადრო არბევენ კიდეც? შსს-სა თუ თავდაცვის სამინისტროს დამფრთხალ კომენტარებში? - არა, არ შეგვიყვანია შინაგანი ჯარი კოდორის ხეობაში; არა, არ ვაგზავნით პარტიზანებს ენგურს გადაღმა; არა, არ ვაპირებთ საომარი მოქმედებების დაწყებას... მადლობა ღმერთს, თუ ასეა, თორემ რითი მთავრდება ხოლმე ამ ხელისუფლების სამხედრო ავანტიურები, ყველამ კარგად უწყის.

საგულისხმოა ისიც, რომ ლევან ალექსიძემ საგანგებოდ მიუთითა: ამ რეზოლუციაში, მართალია, არ არის გამოყენებული ტერმინი - ეთნიკური წმენდა, მაგრამ სხვა ყველაფერი მითითებულიაო. როგორც ვხედავთ, ალექსანდრე კავსაძის მიმართ საპარლამენტო. სესიაზე გამოთქმული ერთ-ერთი მთავარი ბრალდება - რომ მან ხელი შეუშალა გაერო-ს რეზოლუციებში აფხაზეთის ქართველთა ეთნიკური წმენდის დაფიქსირებას, კვლავ ძალაში რჩება, მხოლოდ ამჟამად სხვა, ჯერ უცნობი პერსონის მიმართ.

გასულ კვირაში აფხაზეთის დეპუტაციის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გაისმა ხელისუფლების კრიტიკა. კერძოდ, ითქვა, რომ არ შესრულდა პარლამენტის მიერ 11 აპრილს მიღებული დადგენილება რუსეთის სამშვიდობო ჯარის მანდატის გადახედვის შესახებ.

როგორც ჩანს, აფხაზეთის მრავალჭირნახული დეპუტატები ჯერ კიდევ შორს არიან პოლიტიკური სიმწიფისგან. ნუთუ მათ მიამიტურად სჯეროდათ, რომ აპრილის დასაწყისში აფხაზეთის საკითხის გარშემო გამართული დებატების სტრატეგიული ამოცანა ამ დადგენილების მიღება და, მით უფრო, მისი შესრულება იყო?!

სინამდვილეში, იმ ისტორიული (და ისტერიული) სადებატო სერიალის დროს ხელისუფლებამ და პირადად შევარდნაძემ განახორციელა მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზანი - აფხაზეთის დაკარგვისთვის მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა ზოგადად საქართველოს, საკუთრივ ქართველებს, კონკრეტულად - აფხაზეთში ნაომარ ქართველებს - "ზვიადისტებსაც" და ანტიზვიადისტებსაც", ამჟამინდელ პოლიტპატიმრებსაც, უბრალოდ პატიმრებსაც და ჯერ კიდევ სამხრეებით მოარულთ. იმხანად მთელი პარლამენტი და აფხაზეთის დეპუტაციაც თავდავიწყებით ჩაერთო ამ საჯარო თვითმკვლელობაში, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება კონკრეტული ოპერატიული ზომები შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

რუსებს კი მხოლოდ დაუცაცხანეს - რატომ კარგად არ ასრულებთ თქვენზე დაკისრებულ მისიასო. სხვათა შორის, სრულიად არასამართლიანი ბრალდებაა - სწორედაც ძალიან კარგად ასრულებენ...

*მამუკა ტუსიშვილი*

---

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის

## მიმართვა ქართველი ერისადმი

გმირობის არაადეკვატურმა გაგებამ ლამის შთანთქა ამ ცნების ბუნებრივი - ისტორიული და გენეტიკური შინაარსი იმ ერში, რომელშიც თვით წმინდანი - გველეშაპთან მებრძოლი წმიდა გიორგის სახით, უპირველესი გამოხატულება იყო ერის სულისკვეთებისა.

1992 წელს მოხდა უფრო მეტი, ვიდრე ეროვნული ხელისუფლების დამხობა. მუხთალი გეგმით, ახლა უკვე ღიად, სახელმწიფოებრივ დონეზე დაიწყო იმ სულისკვეთების აღმოფხვრა, რამაც ეროვნულ ხელისუფლებას გამარჯვება მოუტანა, რაზედაც ჩვენი მეობა, სიამაყე და წარმატებები იყო აღმოცენებული. ოფიციოზმა მთავარ ამოცანად ერში არასრულფასოვნების განცდის ჩამოყალიბება დაისახა.

მიზანი მიღწეულიც იქნებოდა, მაგრამ ეროვნული მოძრაობის თავკაცებმა - ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გააღვიძეს ის მინავლებული, მაგრამ ბუნებრივი გრძნობა, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. ისე აალორძინეს ეროვნული ცნობიერება, რომ მისი ჩაწიხლვა ეროვნული გმირების ფიზიკური განადგურებითაც კი ვერ მოხერხდა. თუ დღეს მამულიშვილური შემართებით არა ერთი და ორი ეზიდება ეროვნულ ტვირთს - ეს კვლავ მათი დამსახურებაა.

ცოცხალთა შორის მაღალი იდეალების დაცვის საუცხოო მაგალითს იძლევიან პოლიტპატიმრები. მარტო ისტორიის კუთვნილება აღარაა ქართველის სულიერი შეუპოვრობა და სიმტკიცე. პოლიტპატიმართა მაგალითის მომცემი ერთგულება სიმართლისადმი, კანონიერი ხელისუფლებისადმი და ეროვნული ინტერესებისადმი ციხის საკნების გისოსების გარემოცვაში, კიდევ ერთი ზნეობრივი გამარჯვებაა ეროვნული მოძრაობისა და, მათი სახით, ჩვენი თაობის სულიერების ზედაპირზე ამოდის მართლმადიდებელი ერის ტრადიციული ღირსება - მოყვასის სიყვარული და მამულისთვის თავგანწირვის სულისკვეთება.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმძიმეს პერიოდში, ეროვნული ღირსების, ეროვნული სულის გადარჩენისთვის უთანასწორო ბრძოლაში, პოლიტპატიმრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

დღეს ერის ნება მათი სულის ქურაში იწრთობა. ეროვნული ღირსების ისტორია მათი ბიოგრაფიებით იწერება. მათი სხეულის ტანჯვითა და გვემით იძერწება ეროვნული შეგნება და მზადდება ეროვნული ყოფიერების უმაღლესი ფორმა.

მივმართავთ ქართველ ერს, ყველა კეთილი ნების ადამიანს გაიცნობიეროს, რომ პოლიტპატიმართა ცხოვრება ზნეობრივი შრომის ცოცხალი მაგალითია სრულიად საქართველოსთვის.

თითოეულ ჩვენგანს მათ მიმართ გვმართებს არა სიბრალული, არამედ სულიერი თანადგომა, მათი ახლობლებისთვის ყოველმხრივი მხარდაჭერა.

საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იღონოს პოლიტპატიმართა ფიზიკური გადარჩენისთვის!

პოლიტპატიმართა ბედთან მიმართებაში გაცხადდება ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის ჭეშმარიტი სახეც.

საბედნიეროდ, არიან ცალკეული პიროვნებები, რომლებიც თავდაუზოგავად ემსახურებიან ამ კეთილშობილურ საქმეს.

თითოეული პატიოსანი მამულიშვილის ვალია, მხარში ამოუდგეს ამ მისიის თაოსნებს.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ეროვნული სულის გადარჩენის კეთილშობილურ გზაზე!

**საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობა**

1996 წლის 30 მაისი

---

## ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია მოითხოვს შეფასება მიეცეს გადატრიალებას

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა, გიორგი კერვალიშვილმა 1996 წლის 10 ივლისს განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს - მინდია უგრეხელიძეს.

ბატონ გიორგი კერვალიშვილის ვრცელ განცხადებაში დაწვრილებით არის განხილული 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შედეგები.

1996 წლის 2 თებერვალს ასოციაციამ უზენაეს სასამართლოს მიმართა, რათა ამ უკანასკნელს მიეცა სამართლებრივი შეფასება სახელმწიფო გადატრიალებისთვის. მაგრამ უზენაესმა სასამართლომ არათუ პლენუმზე განსახილველად გაიტანა საკითხი, არამედ პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია.

განცხადების ტექსტში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ როგორც პირადად მინდია უგრეხელიძე, ასევე უზენაესი სასამართლოს მთელი შემადგენლობა ლამის ერთადერთი ორგანოა, რომელიც ფუნქციონირებს კანონიერი ხელისუფლების დროიდან და ნაცვლად იმისა, რომ კანონის აღსრულებისთვის მოწოდებული სტრუქტურა ემსახურებოდეს ქვეყანაში კანონიერების აღდგენას, სასამართლო ფაქტობრივად დევნის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს, "რომელთა მიმართ შეთითხნილი "საქმეები" მათი "უკანონობის", "ბანდიტიზმის", "სამშობლოს ღალატის" ბრალდებებით უსასტიკესი (მათ შორის სასიკვდილო) განაჩენების გამოტანა - უზენაეს სასამართლოში ლამის ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა."

ბატონი კერვალიშვილი დაჟინებით მოითხოვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძისგან, განხილულ იქნეს ასოციაციის შუამდგომლობა:

"ბატონო თავმჯდომარევ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმზე განსახილველად გაიტანოთ ჩვენი ამა წლის 2 თებერვლის №10 შუამდგომლობაში აღძრული საკითხი - მისცეთ სამართლებრივი შეფასება სახელმწიფო გადატრიალებას. ამასთან, იხელმძღვანელოთ კანონითა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, კერძოდ, გაეროს წესდებით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიზნებითა და პრინციპებით, ჰელსინიკის თათბირის დასკვნითი აქტის დეკლარაციის პრინციპებით, ვენის 1986 წლის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის პრინციპებით, კოპენჰაგენის 1990 წლის თათბირის დოკუმენტის დებულებებით, სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად - როგორც ვენის საბოლოო დოკუმენტის, ასევე გაეროს მიერ მიღებული მეორე ფაკულტატური ოქმის მიზნებით, 22 სახელმწიფოს პარიზის 1990 წლის ერთობლივი დეკლარაციისა თუ სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, რომელსაც საქართველომაც მოაწერა ხელი, თუმცა მმართველი რეჟიმი უხეშად ფეხქვეშ თელავს მათ, რაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის აბუჩად აგდებაა.

ბატონო თავმჯდომარევ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და რადგანაც დარღვეულია ამომრჩეველთა ელემენტარული უფლება თავისუფალი არჩევნების გზით შექმნას ხელისუფლება, გთხოვთ, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, 108, 109, 110, 112, და 113 მუხლების საფუძველზე, კანონით დადგენილ ვადაში აღძრათ სისხლის სამართლის საქმე 1991-92 წლების სამხედრო კრიმინალური გადატრიალების ფაქტზე, როგორც ერის ისტორიაში უმაგალითო ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულზე და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეთ მისი ორგანიზატორები, წამქეზებლები, აღმსრულებლები და მონაწილენი.

წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას, მივიღოთ სათანადო ზომები. კერძოდ, მსოფლიოს თვალში დღევანდელი უზენაესი სასამართლოს მხილების მიზნით, მივმართოთ პროტესტის უკიდურეს პოლიტიკურ-სამართლებრივ მეთოდებს."

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეაჩერეთ ეს ომი!
# თორემ ის თქვენს სახლებშიც შემოაბიჯებს

რუსეთის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ერთი კვირაც კი არ დასჭირვებია იმ დამკვირვებელთა აზრის დასადასტურებლად, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მისი ყველა დაპირება ჩეჩნეთის ომის შეწყვეტისა და პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნო პროპაგანდისტული ხერხი იყო და საერთო არაფერი ჰქონდა რუსეთის ხელისუფლების რეალურ ზრახვებთან...

ჩეჩნეთში კვლავ განახლდა საომარი მოქმედებები. ბრძოლების ეპიცენტრი ქვეყნის სამხრეთი რეგიონია, სადაც მდგომარეობას კლავინდებურად ჩეჩნეთის კანონიერი ხელისუფლება აკონტროლებს. რუსების მტკიცებით, აქ განთავსებულია იჩქერიას პრეზიდენტის - ზელიმხან იანდარბიევის შტაბი. ამით ამართლებენ ისინი სოფლების - გეხისა და მახკეტის ბარბაროსულ დაბომბვას, რომელმაც ოცდაათზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რუსები აცხადებენ, რომ აწარმოებენ ე.წ. წერტილოვან დაბომბვას (ამგვარმა "წერტილოვანმა" დაბომბვამ უკვე გაანადგურა მრავალი ჩეჩნური სოფელი, ხოლო დედაქალაქი - გროზნო - ნანგრევებად აქცია).

ამ კვირის განმავლობაში გამუდმებით იბომბებოდა სოფლები - ალეროი, არშტი, მახკეტი, დარგო, ბენოი. ამ სოფლებიდან მოსახლეობა უკვე გაიხიზნა და სამხრეთით - კავკასიონის ქედისკენ გადაინაცვლა. ჩეჩნეთის ხელისუფლების ცნობით, მხოლოდ ამ სოფლებში 300 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, მრავალი დაიჭრა.

ჩეჩენი მებრძოლები პარტიზანულ ბრძოლასაც აწარმოებდნენ. რამდენიმე დღის წინ მათ ააფეთქეს ჯავშანტრანსპორტიორი, რომელშიც იმყოფებოდა გენერალ-მაიორი სკრიპნიკი - გამორჩეული სისასტიკით მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

სიტუაცია დაძაბულია ქ. გროზნოშიც. პრორუსულმა ტუალეტის ბინადარმა ხელისუფლებამ (რუსეთის არჩევნებში მათ საზოგადოებრივი საპირფარეშოს შენობებში მისცეს ხმა) ქალაქში კომენდანტის საათი შემოიღო. როგორც საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, მთელი ღამის განმავლობაში, ქალაქში სროლის ხმა გაისმის, რომელიც დილამდე გრძელდება. გამოიყენება ნაღმტყორცნები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნები. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ჩეჩნეთის რესპუბლიკის საზღვარი გადალახა ინგუშთა რაზმმა და შეუერთდა ჩეჩენ პატრიოტებს. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა ფედერალური ჯარების მხრიდან, რუსები არად აგდებენ "საზარბაზნე ხორცს" (ამის დეფიციტი რუსეთში ჯერჯერობით არ იგრძნობა) და ახალ-ახალი ძალების შეყვანით ცდილობენ ჩეჩენთა შევიწროებას და მათი წინააღმდეგობის გატეხვას.

გენერალმა ლებედმა სავსებით ლოგიკური უწოდა ჩეჩნეთში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სარდლის - ტიხომიროვის ქმედებას, რითაც საფუძველი გამოაცალა მოარულ ხმებს, თითქოს ტიხომიროვი გამოვიდა კრემლის მორჩილებიდან და თავად მიიღო გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების განახლების შესახებ. ლებედის განცხადებამ დაადასტურა, რომ ბრძოლები განახლდა კრემლის, უშუალოდ რუსეთის პრეზიდენტის მითითებით. ომის მიმდინარეობისას სულ უფრო ნათლად იკვეთება რუსეთის ფედერალური ჯარების მიზანი - ჩეჩენი პატრიოტების შევიწროება და მათი მიმწყვდევა კავკასიონის ქედთან. რასაკვირველია, ამას ყველაზე უკეთ ჩეჩნები გრძნობენ და ამიტომაც, მათი მხრიდან უეჭველად ექნება ადგილი მობილურ მცირერიცხოვან ჯგუფებად დაშლის და ბრძოლების მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადატანის მცდელობას.

საერთაშორისო საზოგადოება, კვლავაც მოვალეობის მოხდის მიზნით, ულიმღამოდ გამოეხმაურა ცნობას ჩეჩნეთში ბრძოლების განახლების შესახებ, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა "ერთგულება" ათასგზის დეკლარირებული "ადამიანის უფლებათა და სიცოცხლის უზენაესობის" პრინციპებისადმი. ერთადერთი, ვინც მტკიცე პროტესტი გამოთქვა მიმდინარე მოვლენების მიმართ, ეუთოს მისიის ხელმძღვანელი - ტიმ გულდემანი გახლდათ, რომელიც დოკუ გაპურის ძემ უმალ პროვოკატორად მიიჩნია და გასცა განკარგულება მისი ქვეყნიდან გაძევების შესახებ. განრისხებული "საპირფარეშოს არწივი" ისევ რუსებმა დაამშვიდეს.

ამასობაში მდგომარეობა დაიძაბა მოსკოვში... 11-12 ივლისს მომხდარმა ორმა ტერორისტულმა აქტმა ქალაქში პანიკური განწყობილება შექმნა. სასწრაფოდ გაჩნდა ვერსია - "ჩეჩნური კვალის" შესახებ. არის სხვა ვერსიებიც, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ხელისუფლება მალე "ზუსტად დაადგენს" ტერაქტში ჩეჩენთა მონაწილეობის "ფაქტს" და ახალი შტრიხებით გაამდიდრებს "ველური კავკასიელის" "საზიზღარ" სახებას.

იჩქერიის მთავრობამ უარყო ბრალდება ტერაქტში ჩეჩნების მონაწილეობის შესახებ: "ჩვენ ვერ დავემსგავსებით რუსეთის ხელისუფლებას და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს არასოდეს გავიხდით პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად"- ნათქვამია მათ განცხადებაში...

გასულ კვირას რუსეთის დუმის ცხრა დეპუტატმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მათ მოითხოვეს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის ხელისუფლების მიერ. დეპუტატთა აზრით, მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით მოხერხდება სისხლის ღვრის შეჩერება. საგულისხმოა, რომ მიმართვაზე ხელმომწერი დეპუტატები დუმის სხვადასხვა მსხვილ ფრაქციებს ეკუთვნიან, რაც საშუალებას გვაძლევს, დუმაში მიმდინარე გარკვეულ პროცესებზეც ვიფიქროთ.

ანტისაომარი განცხადებები გააკეთეს სხვა პარტიებმაც, ცალკეულმა დეპუტატებმა. ტერაქტით შეშინებული მოქალაქეები ფიქრობენ, რომ აფეთქებები გაგრძელდება. რუსეთის საზოგადოება იხდის საფასურს იმ გულგრილობისა და უდარდელობისთვის, რომლითაც ისინი შესცქეროდნენ ჩეჩენი ქალებისა და ბავშვების ჟლეტას, მათ აწიოკებას... რუსეთმა უნდა ზღოს სამაგიერო დანაშაულებრივი დუმილისთვის და სულაც არაა აუცილებელი, რომ ომის ცეცხლი მხოლოდ მის მონაწილე რუს სამხედროებს შეეხოს.

... ვინ იცის, ახლა იქნებ ათასგზის გაახსენდეთ კიდეც პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის მიერ ომის დაწყებისთანავე თქმული სიტყვები: "ვთხოვ რუსეთის მოქალაქეებს, რუსეთის საზოგადოებას, შეაჩერეთ ეს ომი! იგი მხოლოდ ჩვენს მოსასპობად არ დაწყებულა. ომის წითელი მამალი თქვენს სახლებშიც შემოაბიჯებს"...

დღეს რუსი ხალხი ამ სიტყვების აღსრულების მოწმე ხდება.

**ნუგზარ წიკლაური**

# "მე პასუხს ვაგებ ხალხის წინაშე ამ ომის გამო"... - ასლან მასხადოვი

### ინტერვიუ ჩეჩენთა შეიარაღებული ძალების შტაბის ხელმძღვანელთან, ასლან მასხადოვთან

**- თქვენი აზრით, რატომ სრულდება ასე ძნელად სამშვიდობო შეთანხმებები?**

- მე მეჩვენება, რომ რუსი სამხედროები და პოლიტიკოსები გაიხლართნენ ამ ომში. მათ უჭირთ ზავგაევს უთხრან -"წადი"... და დაიწყონ ლაპარაკი რეალური ძალაუფლების მქონე ადამიანებთან. ამის გარეშე კი, ომის შეჩერება წარმოუდგენელია.

**- რომელ რუს გენერალთან უფრო გიადვილდებოდათ ლაპარაკი - რომანოვთან, შკირკოსთან, თუ ტიხომიროვთან?**

- რომანოვი სამაშკის ჯალათია, მაგრამ მასთან მაინც უფრო იოლი იყო საუბარი. იმიტომ, რომ ის კულტურული, წესიერად აღზრდილი ინტელიგენტია - ჩეჩნეთში კი ამას დიდად აფასებენ... ომი ომია, მაგრამ თუ მაგიდასთან ჯდები, ლაპარაკიც უნდა შეგეძლოს. რომანოვს არ შეიძლება ეპატიოს ის, რაც აქ ჩაიდინა, მაგრამ მას ნამდვილად მობეზრდა ეს ომი და გულწრფელად სურდა მისი შეჩერება. სხვა გენერლების (მაგ. შამანოვი, ტიხომიროვი) მხრიდან ეს არ იგრძნობა.

**- ხართ თუ არა მზად ა. ლებედთან შეხვედრისთვის, როცა იგი ჩეჩნეთში ჩამოვა?**

- მე მზად ვარ ნებისმიერ ადამიანთან სალაპარაკოდ.

**- რამდენად გიადვილდებათ რუს ოფიცრებთან ურთიერთობა - თქვენ ხომ მაინც ერთ არმიაში მსახურობდით?**

- ჩემის აზრით, დღეს ისინი ისეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორშიც მე - ვილნიუსში. მეც ხომ მათსავით ჩამჩიჩინებდნენ: წითელი არმია უძლეველია, მისი საქმე სამართლიანია და ა.შ. როცა ბალტიისპირეთის მოვლენები დატრიალდა, მივხვდი, რაც ხდებოდა... მე მრცხვენოდა იმის გამო, რომ ვილნიუსში ვიყავი. მართალია, 1991 წლის 13 იანვრის მოვლენებში არ ვმონაწილეობდი, მაგრამ მრცხვენია მათ მიმართ ჩემი მაშინდელი დამოკიდებულების გამო და თუკი ის რუსი ოფიცრები, რომლებიც ახლა ჩეჩნეთში იმყოფებიან, საკუთარ თავზე გამოცდიან, რა მძიმეა, როცა შენს ხალხს ანადგურებენ, მაშინ სხვაგვარად მოიქცევიან.

**- როგორ ფიქრობთ, ჩეჩნეთში ომი ჯერ არ დამთავრებულა?**

- შესაძლოა, ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები აღარ იყოს, მაგრამ არსებობს სხვა საშიშროება - როცა ჯოჰარ დუდაევი მოკლეს, სცადეს, ჩვენთან ავღანური ვარიანტი გაეთამაშებინათ: სურდათ ჩვენი გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება. ეს ვერ მოახერხეს. ახლა ტაჯიკური ვარიანტის განხორციელებას ცდილობენ; გამოძებნეს მარიონეტი - აძლევენ ფულს, იარაღს, მაგრამ არც ეს გამოუვათ.

**- არსებობს თუ არა საფრთხე იმისა, რომ ჩეჩნეთიდან ჯარების გაყვანის შემდეგ აქ სამოქალაქო ომი დაიწყება?**

- ჩემს უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანად ვთვლი იმას, რომ ეს არ დავუშვა.

**- რამდენად თანაბრად მიგაჩნიათ თქვენი და რუსეთის ფედერალური ჯარების ბრძოლისუნარიანობა?**

- ჩვენს რიგებში დისციპლინა, მართვის მექანიზმი და ორგანიზებულობა ბევრად უკეთესია. მათთან კი, ნახეთ, რა ხდება - დგანან პოსტებზე გაუპარსავები, ჭუჭყიანები, მთვრალები. ერთმანეთს ესვრიან ხოლმე. ახალწვეულები და "ნაიომნიკები" ერთად მსახურობენ, ვერ გაიგებ, ვის ემორჩილებიან გენერლები.

**- მართალია თუ არა, რომ თქვენ გაეცით ბრძანება, არ ესროლათ, როცა ერთ-ერთმა ჯგუფმა შეგატყობინათ, რომ მიზანში ჰყავდათ ამოღებული სტეპაშინი და ზავგაევი, მათი ვედენოში ყოფნის დროს?**

- დიახ, გავეცი ასეთი ბრძანება. ჩვენ ხელი მოვაწერეთ სამშვიდობო შეთანხმებას. თუ გვესვრიან, ჩვენც პასუხს გავცემთ, მაგრამ პირველები სიტყვას არ გავტეხთ. ზავგაევის მოკვლა თუ დაგვჭირდება, ამისთვის გამოიძებნება სხვა დრო და ადგილი.

**- როგორ წარიმართება თქვენი, როგორც სამხედროს ან პოლიტიკოსის კარიერა მომავალში?**

- დღეს ჩემი უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს ეს ომი და ჩემს ხალხს ვუთხრა, რომ ყველაფერი გავაკეთე მის დასაცავად გენოციდისა და ბარბაროსობისგან. დანარჩენი ყველაფერი მეორე-მესამე რიგის საკითხებია. მე პასუხისმგებელი ვარ ჩემი ხალხის წინაშე ამ ომის გამო.

***"მოსკოვსკიე ნოვოსტი", 7-14 ივლისი, 1996***

(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)

# მკვლელობა ვენის კაზინოსთან

11 ივლისს, ღამით, ვენაში მოკლეს დავით სანიკიძე. მკვლელობა მოხდა ქალაქის ცენტრში, როდესაც სანიკიძე მის თანმხლებ მანდილოსანთან ერთად - ეს ქალბატონი მძიმედაა დაჭრილი - გამოდიოდა კაზინოს შენობიდან. მკვლელმა მაყუჩიანი პისტოლეტით ორი ვაზნა დაახალა მსხვერპლს თავის არეში.

ვინაიდან კაზინოს ინტერიერი და მიმდებარე ტერიტორია მუდმივი ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ფირზე, რომელიც ნაჩვენები იქნა ავსტრიის ტელევიზიით, ასახულია, თუ როგორ ელოდება მკვლელი კაზინოდან გამომავალ წყვილს და მკვლელობის შემდეგ აუჩქარებლად ტოვებს ხალხმრავალ ქუჩას.

ავსტრიის ტელევიზიამ და პრესამ ფართოდ გააშუქა ეს შემთხვევა. საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, რომ დავით სანიკიძე ედუარდ შევარდნაძის ნათესავია და ცნობილია როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ გარიგებებში გარეული საქმოსანი.

დავით სანიკიძე ავსტრიაში დიდძალ უძრავ ქონებას ფლობდა. ამასთან, იგი, ლეოპოლდ ბაუსბეკთან ერთად, იყო საქართველოში ერთობ ცნობილი ავსტრიული ფირმის "მარკო პოლოს" თანამფლობელი. ეს ის "მარკო პოლოა", რომელმაც ააშენა სასტუმრო "მეტეხი-პალასი" თბილისში და გუდაურის კომპლექსი.

საინტერესოა, არის თუ არა რაიმე კავშირში ეს მკვლელობა სასტუმრო "მეტეხის" გარშემო შექმნილ სკანდალურ ვითარებასთან. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ სანიკიძე უფრო მსხვილი თამაშის მსხვერპლი აღმოჩნდა.

# დიდი წმენდის მოლოდინში

გაერო-ში გამართული საერთაშორისო სპეკულაციის პარალელურად, საქართველოს უშიშროების მეორე პირი - ავთანდილ იოლსელიანი მიემგზავრება აფხაზეთში და ხვდება არძინბას, რის შემდეგაც ოპტიმისტურ პროგნოზებს აფრქვევს: თურმე, არძინბა ცნობს შევარდნაძის პრეზიდენტობას. როგორ, ნუთუ უნდა გვიხაროდეს, რომ კრიმინალი არძინბა ცნობს მსოფლიო დონის პოლიტიკოსს?! ან, საერთოდ, რატომ ცნობენ და ხვდებიან ქართველთა ეთნიკური წმენდის მომწყობს შევარდნაძის უშუალო ქვეშევრდომები? მეტიც, იოსელიანი აცხადებს - "თუ იგი შევარდნაძეს შეხვდება, ამაში ცუდსა და ტრაგიკულს არაფერს ვხედავო."

გასაოცარია, რატომ არავინ იყენებს სსკ-ს 65-ე მუხლს. იქნებ ეს უნივერსალური ბრალდება - სამშობლოს ღალატი - მხოლოდ მათ უნდა წაეყენოს, ვინც არ ცნობს შევარდნაძეს?

თუმც ვინ იცის, რა ელის უშიშროების შეფის მოადგილეს - შემსრულებლობითა და ერთგულებით მას არც კავსაძე ჩამოუვარდებოდა და, მიუხედავად ამისა, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, თანაც მძიმე ბრალდებებით დახუნძლული.

საფიქრალია, რომ ა. იოსელიანმა თავი ვერ გაართვა რიგ მნიშვნელოვან ამოცანებს - თუ რას, მოგვიანებით გამოჩნდება. ამაზე მეტყველებს მისი საეჭვოდ არაჩეკისტური გაცხარება გერმანე ფაცაციას მიმართ, რომელმაც გენერალ-ლეიტენანტის აზროვნებაში ეჭვი შეიტანა და ლეიტენანტის დონემდე დაამცირა.

ამგვარი დასკვნის გაკეთება ადრეც შეიძლებოდა, ოდეს იოსელიანი მშვიდობიანად თანაარსებობდა ისეთ საშიშ ტერორისტთან, როგორიც იგორ გიორგაძეა და 29 აგვისტოს აფეთქების შემდეგ მეტად არადამაჯერებელი არგუმენტებით იმართლებდა თავს: გაუგებარიც კი დარჩა - იცოდა რამე თუ არა შესაძლო ტერაქტზე? თუ იცოდა, რატომ არავის უთხრა? თუ უთხრა, ვის? ხოლო თუ არ იცოდა, მართლაც გასარკვევია, იმსახურებს თუ არა გენერალ-ლეიტენანტის ჩინს? მაგრამ ვინ არის გერმანე ისეთი გამოცდილი ჩეკისტისთვის, როგორიც იოსელიანია, ამ უკანასკნელმა ემოციების მოთოკვა რომ ვერ შეძლო?!

ნამდვილად რაღაცაშია საქმე...

* * *

"დამოუკიდებელ დამკვირვებელთა პროგნოზებით, შემოდგომისთვის საქართველოს მმართველ წრეებში მოსალოდნელია დიდი ცვლილებები, უფრო სწორად კი, დიდი წმენდის დაწყება. არ არის გამორიცხული პოლიტიკური ელიტის რიგ წარმომადგენელთა საჯარო მხილება კორუფციასა და პოლიტიკურ შეცდომებში. სავარაუდოა, გაგრძელდეს პოლიციური ფაქტორის გაძლიერების ტენდენცია, სხვა ძალოვანი სტრუქტურების დაკნინების ხარჯზე. საფიქრალია, რომ სამსხვერპლოზე შეიძლება სრულიად მოულოდნელი ფიგურები აღმოჩნდნენ, თუმცა, ამ ქვეყანაში უკვე აღარაფერია მოულოდნელი.

ძველი ჩინური სიბრძნე გვასწავლის: "დაჯექი მდინარის პირას და დაელოდე, როდის ჩამოიტანს წყალი შენს მტრებს".

დაველოდოთ...

**ანა ჭავჭავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ბჭობდა სამი მონა - ვის ემონონ

### ანუ იგავი ცრუწინასწარმეტყველის, ცრუიდეოლოგისა და ცრუდემოკრატის მცდელობაზე, როგორმე აცდუნონ ერი და ბერი

ტელეარხმა "რუსთავი-2" 13 ივლისს გადმოსცა ვახტანგ გოგუაძისა და აკაკი ბაქრაძის საუბარი, რომელსაც უძღვებოდა ახალგაზრდა ჟურნალისტი გიგა ბოკერია. "დემოკრატიული რევოლუციის" ლოზუნგით საქართველოს დამამხობელთა ტრიადა პირდაპირ ეთერში განიხილავდა მეტად აქტუალურ საკითხს: რომელი რელიგიის წიაღში ჰპოვოს საქართველომ დემოკრატია და თავისუფლება - მართლმადიდებლობისა თუ კათოლიციზმის.

საგულისხმოა, რომ ამ "საკრალურ" კითხვაზე მსჯელობისთვის დამოუკიდებელმა ტელეარხმა შეარჩია თორმეტი მოციქულის ხსენების დღე და უკვე ამით გამოავლინა თავისი "თანაზიარობა" თანამედროვე ცივილიზაციასთან. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ "თოქშოუს" მანერაში გათამაშებული საუბრისას, სამივე სუბიექტი წამდაუწუმ უსვამდა ხაზს თავის ორიენტაციას "ცივილიზებულობაზე".

## რუსეთმორწმუნენი

ვახტანგ გოგუაძე პრორუსული ორთოდოქსალიზმის ადვოკატად მოგვევლინა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კლასიკურად ქცეულ იდეოლოგია იქადაგა: გეზი ავიღოთ ერთმორწმუნე რუსეთზე. პოზიცია ცნობილია და მისი მომხრენი, როგორც წესი, ასევე კლასიკად ქცეულ მაგალითებს მიმართავენ ხოლმე - ერეკლე მეორეს, ბარათაშვილს, ისტორიულ გარდუვალობას, რუსეთის საფრთხეს და ა.შ. გოგუაძემ ამას დაუმატა მსოფლიო შეთქმულება მართლმადიდებლობის წინააღმდეგ (თან ყველაფრის ღიად თქმა არ ისურვა) და სხვა სლავიანოფილური იდეები. ერთი სიტყვით, ნებისმიერ იდეურ ბოდვას გამოედევნებიან, ოღონდ არ დაირღვეს გეორგიევსკის ტრაქტატის ფუძემდებლური პრინციპები.

ერთმორწმუნეობის ეს ყალბი ფაქტორი ვერ გააბათილა ვერც ქართველ ქრისტიანთა მიმართ რუსი ეგზარხოსების ველურმა ანგარიშსწორებამ და კრიმინალურმა საქმიანობამ - ხატებისა და წმიდა ნაშთების გატაცებამ, ქართული მართლმადიდებლური ცენტრების განადგურებამ საქართველოსა და მის გარეთ; ვერც საქართველოს ტერიტორიაზე, რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის თანახმად, თათრებისა და სომხების ჩამოსახლებამ, ქართველთა გამიზნულმა გამუსულმანებამ და გაგრიგორიანელებამ, კათოლიკური ექსპანსიისთვის ხელის შეწყობამ; უფრო მოგვიანებით კი, ვერც ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, ვერც დემოკრატიულმა ძვრებმა, ვერც ისტორიული ვითარების ცვლილებამ, ვერც სსრკ-ს დაშლამ - ვერაფერმა. რუსეთის ერთმორწმუნეობა ყოველთვის ჩრდილავდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, რომლებიც დაპირებული მშვიდობის სანაცვლოდ ხდებოდა და ხდება დღესაც. და მაინც, ქართველი სატელიტები ყოველთვის "რუსეთმორწმუნენი" რჩებოდნენ.

## რომელი დასავლეთი ავირჩიოთ

აკაკი ბაქრაძეს, როგორც ჩანს, სულხან-საბას ამბიციები მოეძალა და საქართველოს გადარჩენას კათოლიკურ დასავლეთში ეძიებს. გაუგებარია მხოლოდ, რატომ მაინცადამაინც კათოლიციზმში? დასავლური სამყარო, რელიგიური თვალსაზრისით, საკმაოდ ჭრელია და იქნებ, სხვა კონფესიური წიაღი გვეძია - მაგალითად, ანგლიკანური ან ლუტერანული პროტესტანტიზმი.

სხვათა შორის, თუ ცივილიზებულობის დონით ვიმსჯელებთ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველაზე მაღალ დონეს მიაღწიეს სწორედ არაკათოლიკურმა სახელმწიფოებმა - უპირველესად, გერმანიამ, ინგლისმა, ნიდერლანდებმა. მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან კათოლიკური იტალიაც, ესპანეთიც, პორტუგალიაც, თვით საფრანგეთიც.

რაც შეეხება ამერიკას, ქართველ დემოკრატთა ელდორადოს, აქ თავს იყრის ყველა არსებული კონფესია, უახლეს რელიგიურ მიმდინარეობათა ჩათვლით, და კათოლიციზმის ფაქტორი არაფრითაა უფრო ძლიერი, ვიდრე, ვთქვათ, ბაპტიზმი (ცნობისთვის, ამჟამინდელი პრეზიდენტი ბილ ქლინთონი ბაპტისტია). განვითარების დონით კი ვინ შეედრება ამერიკას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის აკვნად თუ არა, ჭოჭინად მაინც ჩაითვლება? ალბათ, მხოლოდ იაპონია - სრულიად არაკათოლიკური და არადასავლური კულტურის ქვეყანა.

ასე რომ, სინამდვილეში არჩევანი დიდია და, ეჭვი გვაქვს, რევოლუციონერმა ბრძენკაცებმა შეგნებულად შემოზღუდეს ეს სპექტრი.

აკაკი ბაქრაძეს ვერ მიუგნია ქართველი ერის გამაერთიანებელი იდეისთვის და განუზრახავს - იქნებ კათოლიციზმმა გაგვაერთიანოსო. არაფერი ამგვარი - უბრალოდ, როცა ერი ირჩევს თავის გზას, რომც არ მოგწონდეს იგი, არ უნდა შეაგულიანო ნაქურდალი პროფესორები რჩეულის დასამხობად, შენი ხალხის ასაწიოკებლად. როცა არ გწამს შენი ხალხის, არ გწამს მისი ღმერთი, შენსა და, მით უფრო, უცხოს ქარგაზე კი არ უნდა მოაქციო იგი, უნდა გაეცალო და ერი თავად მონახავს ერთიანობისკენ გზას.

## თვითგადარჩენის რეცეპტი

გადაცემის მსვლელობისას თავის აზრს გვიზიარებდნენ ავტორიტეტული პირები, მაგალითად, კახა ლომაია, რომლის დასკვნები ინტელექტის აპოგეად შეიძლება ჩაითვალოს. მან ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთის ცივილიზება განაპირობა კათოლიციზმმა, ხოლო მართლმადიდებლური მენტალიტეტი ნაკლებ დემოკრატიულია და, ამდენად, არაპროგრესული. ამის მაგალითად მან მოიხმო პოლონეთი, სადაც ეკლესია ნაკლებად კონტროლირებადი იყო საბჭოური სისტემის მიერ და მხარს უჭერდა დისიდენტურ მოძრაობას, სსრკ-სგან განსხვავებით. თუმც დაავიწყდა ეთქვა, რომ პოლონეთი საბჭოთა ექსპანსიის ქვეშ მხოლოდ 1945 წლის შემდეგ მოექცა, მანამდე კი არანაკლებ ეურჩებოდა გერმანელ ოკუპანტებს. სხვათა შორის, პოლონელი ქსენძებიც და არისტოკრატიაც ყოველთვის მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ ყველა დამპყრობელს, მისი რელიგიური ორიენტაციის მიუხედავად, ხოლო დასავლური ექსპანსიის საპირისპიროდ, ფარად ხშირად თავის სლავურ წარმომავლობას იყენებდნენ.

ამგვარია ყველა ერის ბუნებრივი მოთხოვნილება, თუ გნებავთ, იმუნიტეტი - თვითგადარჩენისთვის საყრდენად ეძიოს დამპყრობლისგან განმასხვავებელი, მასთან დამაპირისპირებელი ფაქტორი და, ამავე დროს, ამკვიდროს და აძლიეროს თავისთავადობა, რომელიც სარწმუნოებრივი, ეთნიკური და კულტურული თვისობრიობის შერწყმით მიიღწევა. შემადგენელი ამ ეროვნული კოსმოსისა უნიკალური ფორმულით განსაზღვრა ილია ჭავჭავაძემ - ენა, მამული, სარწმუნოება. სწორედ ამ იმუნიტეტის დაჩლუნგებას ემსახურება მარაზმატული ძიება ერთმორწმუნე მოკავშირისა რეალურ თუ პოტენციურ მტრებს შორის; ეს არის მთელი ერის სარწმუნოებრივი ორიენტაციის ხელახლა განსაზღვრის მცდელობა, რომელიც რა ხანია წამოიწყო ყველა დანაშაულებრივ ბანდებს შორის ყველაზე საშიშმა ბანდამ - "ერის საუკეთესო ნაწილად" თვითწოდებულმა ქართულმა ინტელიგენციამ - მონამ მონათა შორის, კეთილმოწყობილი მონობის მაძიებელმა.

*რომანოზ საგინაშვილი*

# მოსამართლეს შეშინდა საზოგადოებრივი დამცველების

## IGFM-ის წევრები ითხოვენ პატიმართან შეხვედრას

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების -IGFM-ის წევრებმა საქართველოში, მიმართეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მინდია უგრეხელიძეს თხოვნით - უზრუნველყოს მათი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ჟურნალისტების შეხვედრა პოლიტპატიმარ ნუგზარ მოლოდინაშვილთან, რომელიც შიმშილობს ამ მოტივით.

# სასამართლო პროცესს ჩამოაშორეს კიდევ ორი დამცველი

12 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოლოდინაშვილის საზოგადოებრივმა დამცველმა, "ჰიუმან რაითს ვოთჩის" გრანტის მფლობელმა, გიორგი ხოშტარიამ დასვა საკითხი მისი და IGFM-ის წევრების პატიმართან შეხვედრის თაობაზე, რაზეც მოულოდნელად მოსამართლე ალადაშვილმა განაცხადა - "მერე ვინ უშლის შეხვედრასო" (?!). აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი დამცველის განცხადების წაკითხვა მოუწია პოლიტპატიმრის ადვოკატს, გივი მორჩილაძეს, ვინაიდან ამ დროისთვის თავად ხოშტარია მოსამართლემ გააძევა დარბაზიდან. გაძევების მიზეზი გახდა დამცველის რეაგირება მის მიმართ მოსამართლის პირადულ გამოხდომაზე. ალადაშვილმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალზე შესტკივა გული კანონიერ ხელისუფლებაზე, ყოვლად უადგილოდ შეახსენა ბ-ნ ხოშტარიას - "იმ ხელისუფლებას თქვენ თვითონ ებრძოდითო". "თქვენ ყველა ხელისუფლებას მოერგეთ, მე კი ვერა" - უპასუხა დამცველმა და მოუწია კიდეც სასამართლოს დატოვება.

როგორც ჩანს, მოსამართლე ალადაშვილი მართლაც მარტო აპირებს სხდომათა დარბაზში დარჩენას...

სხდომის პირველ ნახევარში კი მოსამართლემ ასევე დაითხოვა სასამართლო დარბაზიდან ვახტანგ ქობალიას საზოგადოებრივი დამცველი თამილა ლომიშვილი იმ მოტივით, რომ იგი მოწმედ უნდა დაიკითხოს. ქობალიას ადვოკატმა, ოთარ ფანქველაშვილმა მიუთითა სასამართლო კოლეგიას, რომ იგი მუშაობდა საზოგადოებრივ დამცველთან შეთანხმებით, აცნობდა მას საქმის დეტალებს და, ამდენად, ქ-ნი თამილა არ შეიძლება იქნეს დაკითხული მოწმედ. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ გამოიტანა შესაბამისი განჩინება და ქობალიას საზოგადოებრივ დამცველს დაატოვებინეს დარბაზი.

თამილა ლომიშვილმა სასამართლოს წარუდგინა თავისი საპროტესტო განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება მისი მოწმედ დაკითხვის შესახებ სინამდვილეში ემსახურება პროცესიდან მის ჩამოშორებას, რის გამოც იგი აცხადებს შიმშილობას 12 ივლისის 14.00 საათიდან. იმავე დღეს მან პროტესტით მიმართა პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისიის წარმომადგენელს, ელენე თევდორაძეს.

*მამუკა ტუსიშვილი*

# საზოგადოება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

### მოთხოვნას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ შეუერთდნენ:

თინათინ მგალობლიშვილი, მურთაზ ჯიშკარიანი, ნანა ხუსკივაძე, ნანა ჩხეიძე, ლამარა ოჩიგავა, მარინა ოჩიგავა, მაკა რაზმაძე, ვენერა ნადარეიშვილი, ჯემალ მაღლაფერიძე, ნელი აზვლედიანი, ჯემალ ჩარკვიანი, რეზო ჩარკვიანი, დალი შენგელია, ნანი ჩარკვიანი, გულო ჩარკვიანი, მეგი ქვარიანი, ლია ფურცელაძე, ეთერ გუგუტიშვილი, ლალი გუგეშიძე, ეთერ მაისურაძე, ნანა ყიფიანი, ოთარ ყიფიანი, ლალი ჩხაიძე, ელზა ჩხაიძე, გოგი გუგუტიშვილი, სონია ქებაძე, ქეთინო ბეჟანიშვილი, ნატა ქართველიშვილი, ლამარა შალამბერიძე, მანანა დოლიძე, ქეთინო ანჯაფარიძე, გოგი თურქიაშვილი, მაყვალა თურქიაშვილი, გიორგი თურქიაშვილი, რუსუდან აგლაძე, გიორგი დავითაშვილი

(ხელმოწერები გრძელდება)

**ნუგზარ მოლოდინაშვილს, მის დაუკითხავად, სასამართლო კოლეგიამ დაუნიშნა ახალი დამცველი, ბ-ნი გივი მორჩილაძე. ამასთან დაკავშირებით პოლიტპატიმარმა საპროტესტო წერილით მიმართა მოსამართლე ა. ალადაშვილს**

# «სასამართლოსთვის«

მე არავითარი პიროვნული პრეტენზია არა მაქვს ბატონ გივი მორჩილაძესთან, ვიცნობ მას და პატივს ვცემ მის პროფესიულ ღირსებებს. უბრალოდ, ამჯერადაც თქვენ, ბატონო ალექსანდრე, გამოდიხართ თქვენთვის ჩვეულ თავხედის ამპლუაში და ცდილობთ, თქვენი უაპელაციო თავხედობით გახვიდეთ ფონს. როდესაც შემირჩიეთ დამცველი, რატომ მაშინვე არ ჩამაყენეთ საქმის კურსში? ან რატომ არ მიეცით საშუალება მას, ჩემთან ერთად გასცნობოდა საქმეს? რა, ისევ ხომ არ გაცახცახებთ? ან იქნებ მითხრათ, როგორ უნდა დამიცვას უკვე დამთავრებულ პროცესში ახლა ჩართულმა ადვოკატმა? ნუთუ მას პროცესის დასაწყისიდან არ ექნებოდა არც ერთი შეკითხვა ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად?

მე გეუბნებოდით და კვლავ გიმეორებთ: ასე არაფერი გამოგივათ. საქმე უნდა გამოიყოს ცალკე და პროცესი დაიწყოს თავიდან, ადვოკატი უნდა მონაწილეობდეს თავიდანვე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე უარს ვამბობ თანხმობა განგიცხადოთ ადვოკატზე.

ისიც მშვენივრად ვიცი, ამ უარს არავითარი ფასი არა აქვს თქვენთვის - ადვოკატს მაინც დანიშნავთ; მაგრამ კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ და გაფრთხილებთ - ჩაიხედეთ თქვენს გულში და დაეკითხეთ თქვენს სინდისს, თუ ასეთი შეგრჩათ კიდევ.

*ნუგზარ მოლოდინაშვილი*
5.07.1996

# ნუგზარ მოლოდინაშვილმა შიმშილობა გამოაცხადა

როგორც გვაცნობეს საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიიდან, 10 ივლისის საღამოდან ნუგზარ მოლოდინაშვილმა თბილისის № 1 საგამომძიებლო იზოლატორში დაიწყო შიმშილობა მოთხოვნით - მიეცეს მას საშუალება, შეხვდეს ჟურნალისტებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების (IGFM) წევრებს საქართველოში. ამის შესახებ მან ოფიციალური განცხადებით მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მ. უგრეხელიძეს. ეს მოთხოვნა მან დააყენა ჯერ კიდევ 27 მაისს და იძულებული გახდა, გამოეცხადებინა შიმშილობა, ვინაიდან სისტემატურად ხდებოდა მისი ყველა კანონიერი უფლებისა და მოთხოვნის უგულებელყოფა სასამართლო კოლეგიის მიერ.

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




მეცხრე თავი

### კონფლიქტი შიდა ქართლში

1924 წელს შიდა ქართლი ავტონომიურ ოლქად გამოცხადდა და ახალი სახელი - "სამხრეთ ოსეთი" მიენიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული, იქ ოსებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც საქართველოში ჩრდილოეთიდან ჩამოსახლდნენ. თანდათანობით რეალური საზღვარი მთიანეთში საერთოდ დაირღვა. რა თქმა უნდა, შიდა ქართლის, ანუ სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად მონათვლის ფაქტს პოლიტიკური მოტივი ედო საფუძვლად. ჯერ კიდევ მენშევიკური რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები ბოლშევიკური საპროტესტო გამოსვლებით საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რაც საბოლოოდ მიზეზი გახდა იმისა, რომ მათ ავტონომია მოიპოვეს. თუმცა, უნდა ითქვას, ოსები საქართველოში არასოდეს განიცდიდნენ რაიმე დისკრიმინაციას. პირიქით, ისინი სიამოვნებით სახლდებოდნენ ამ მხარეში 20-იანი წლების შემდგომ. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1988 წელს ისინი უკვე მოსახლეობის უმრავლესობას - 68 პროცენტს შეადგენდნენ მაშინ, როცა ქართველები მოსახლეობის მხოლოდ ერთ მეოთხედს წარმოადგენდნენ (26 პროცენტი). დანარჩენი 6 პროცენტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებზე მოდიოდა.

ოსები საქართველოში თავს უკეთ გრძნობდნენ, ვიდრე თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ჩრდილოეთ ოსეთი თითქმის მთლიანად რუსიფიცირებული იყო, ხოლო კავკასიის სამხრეთით, საქართველოს ტერიტორიაზე მათ თვითგამორკვევის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. დაშვებული იყო სკოლების, გამომცემლობების, თეატრის ფუნქციონირება ოსურ ენაზე. ამასთან, ოსები ქართველების მხრიდან არავითარ ზეწოლას არ განიცდიდნენ. თუმცა ოსებს, როგორც საბჭოთა მოქალაქეებს, მინიჭებული ჰქონდათ მთელ კავკასიაში ცხოვრების და მუშაობის უფლება, მაგრამ ყველაზე უკეთესად მათი ინტეგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. და თითქოს არავითარი საფუძველი არ არსებობდა, რომ ქართველთა და ოსთა კარგი ურთიერთობა დარღვეულიყო. მით უმეტეს, რომ ქართველთა მხრიდან საამისო მიზეზი არ ყოფილა.

მოხდა ძნელად გასაგები რამ: როცა საბჭოთა კავშირში გარდაქმნა დაიწყო და დღის წესრიგში დადგა ლენინის ძეგლების ალების საკითხი (სტალინის ძეგლები კარგა ხნის მოხსნილი იყო), ოსები ლენინის ერთგულნი დარჩნენ და სასტიკად წინააღმდეგნი იყვნენ მისი ძეგლების ალებისა. როგორც ჩანს, საბჭოური მანიის ახალი სახეობა წარმოიშვა. ოსი "ნაციონალისტები" ცხინვალის ქუჩებში საბჭოთა ვარსკვლავიანი წითელი დროშებით გამოდიოდნენ და რუსეთის შემადგენლობაში ორივე ოსეთის გაერთიანებას მოითხოვდნენ ძველი სახელწოდებით - "ალანია".

1989 წლის შემოდგომაზე შიდა ქართლის ქართულმა მოსახლეობამ პროტესტი გამოთქვა ოსების მოთხოვნის გამო. ამას მოჰყვა იქ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებული ძალების გამოჩენა, რამაც ქართველებს აუტანელი მდგომარეობა შეუქმნა.

არჩევნებში ზვიად გამსახურდიას გამარჯვებისთანავე სამხრეთის ოსებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა - საქართველოსგან გამოყოფა და რუსეთთან გაერთიანება მოითხოვეს. მაშინ საქართველოს ახლად არჩეულმა პარლამენტმა გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ამით საქართველოდან მათი გამოყოფის გადაწყვეტილებაც ავტომატურად გაუქმდა. საპასუხოდ ოსებმა ქართული სოფლების დაბომბვა დაიწყეს. პირველი ლტოლვილები ჩავიდნენ გორში, შემდეგ თბილისშიც.

ამას მოჰყვა გახმაურებული სატელეფონო საუბარი გორბაჩოვსა და გამსახურდიას შორის. ამ საუბრის შინაარსი ნათელს ჰფენს იმდროინდელ მოვლენებს. საუბარი შედგა 25 თებერვალს, საქართველოში სტალინის ჯარების შემოსვლის 70 წლისთავის დღეს. ამ სატელეფონო მოლაპარაკების ტექსტი გაზეთმა "შპიგელმა" 1991 წლის 11 მარტის ნომერში გამოაქვეყნა. გორბაჩოვმა, უპირველეს ყოვლისა, მოიკითხა საქართველოს პრეზიდენტი. ამ საუბარს წინ უძღოდა სამაჩაბლოში 7 ქართველის დახოცვის ფაქტი. როგორც თავად გორბაჩოვმა აღნიშნა, მას აინტერესებდა გამსახურდიას ხმის მიხედვით მისი სულიერი მდგომარეობა შეეტყო. საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა, რომ მას იმ ადამიანის სულიერი განწყობილება ჰქონდა, რომელმაც 7 ახლობელი დაკარგა. გორბაჩოვმა შეკითხვა დასვა: "და თქვენ კვლავაც არ გსურთ ხელი მოაწეროთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას?

გამსახურდია: ეს მხოლოდ ჩემი პოზიცია არაა. ასე ფიქრობს ჩემი ხალხიც.

გორბაჩოვი: თუ იცით, რომ აფხაზები და ოსები ხელს აწერენ ხელშეკრულებას და სამოკავშირეო რეფერენდუმშიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას?

გამსახურდია: ესაა სულ 140 000 კაცი. საქართველოში კი 5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

გორბაჩოვი: (მოზრდილი პაუზის შემდეგ) კარგად აწონ-დაწონეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხი.

გამსახურდია: ჩვენ არც ვფიქრობთ ამაზე.

გორბაჩოვი: მაშინ ელოდეთ დიდ გასაჭირს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში."

ამ სატელეფონო საუბრის შემდეგ ძალიან მალე, საქართველოს მთიანეთში - ყაზბეგში, რუსეთის საზღვრის მახლობლად შედგა გამსახურდიას შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან - ბორის ელცინთან. ორივე სახელმწიფო მოღვაწის მიერ ხელმოწერილ იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც რუსეთის მხარე სამხრეთ ოსეთს ცნობდა საქართველოს განუყოფელ ნაწილად. გარდა ამისა, ელცინი დაჰპირდა გამსახურდიას, რომ ჩაკეტავდა ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის დამაკავშირებელ გვირაბს, აკრძალავდა პარტიზანულ მოძრაობას, ნებადართული იქნებოდა მხოლოდ სამოქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა და ჰუმანიტარული ტვირთის გადატანა. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმები შეიცვლებოდა პოლიციის შენაერთებით. ყოველივე ეს ორ ქვეყანას შორის დადებული სამეგობრო ხელშეკრულების სახით გაფორმდა.

ამ შეხვედრის შემდეგ, შიდა ქართლის ქართულმა მოსახლეობამ ერთი თვით ამოისუნთქა, მაგრამ სექტემბერში გამსახურდიას მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლების დაწყებამ კვლავ დაძაბა სამაჩაბლოში ცოტა ხნით მიწყნარებული სიტუაცია.

გამსახურდიასადმი იმხანად კეთილგანწყობილ ელცინს ყველანაირად შეუშალეს ხელი, რითიმე [illegible] საქართველოს პრეზიდენტს. მან პირდაპირი ხაზით დაკავშირებაც [illegible] გამსახურდიასთან.

კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ მიმართული თბილისის პუტჩის შემდეგ, შიდა ქართლში დარჩენილი ქართველები საერთოდ განდევნეს თავიანთი სამშობლოდან. ლტოლვილთა რაოდენობამ 20 000-ს მიაღწია. ათასობით ოსმა, რომელმაც საქართველოდან გამოყოფას მხარი არ დაუჭირა და ამის გამო რეპრესიებში მოჰყვა, რუსეთის ფედერაციას შეაფარა თავი.

როცა შევარდნაძე საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა, შექმნა ილუზია, თითქოს მისი გვარდიელები "საქართველოსთვის" ბრძოლაში ჩართო და ისინი ქალაქ ცხინვალში განალაგა. ამას მოჰყვა ის, რომ ქალებით და ბავშვებით სავსე ავტობუსი დაიცხრილა, ყველა მგზავრი გარდაიცვალა.

1992 წლის 24 ივნისს შევარდნაძე დაგომისში შეხვდა ელცინს. მათ მოილაპარაკეს ქართველი, რუსი და ოსი ჯარისკაცებისგან შემდგარი ჯარის ნაწილების ფორმირების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც თითქოს ლტოლვილთა უკან დაბრუნება უნდა გაკონტროლებულიყო. მალე შევარდნაძემ თავისი გვარდიელები უკან გამოიყვანა, ლტოლვილები კი დღემდე გორის რაიონში და თბილისში არიან.

ამჟამად სამხრეთ ოსეთის საზღვრები მხოლოდ ლტოლვილებისგან არის მკაცრად დაცული, რათა ისინი უკან არ დაბრუნდნენ. ხოლო ყველაფერი, რაც საქართველოსთან ძველ კავშირ-ურთიერთობას მოგაგონებდათ, სრულიად აღგვილია პირისაგან მიწისა.

*გერმანულიდან თარგმნა თამარ იაშვილმა*

(გაგრძელება იქნება)

### შეცდომის გასწორება

გაზეთის წინა ნომერში გაიპარა უნებლიე შეცდომა: პოლიტპატიმარი **გელა გაჩეჩილაძე** იმყოფება ავჭალის ციხის ეგრეთწოდებულ "კრიტში" და არა ქსნის კოლონიაში, როგორც ეს პუბლიკაციაში იყო აღნიშნული.

---

TAVISUPALI SAKARTVELO
(FREE GEORGIA)

# №26 (in brief)

16 - 22 July 1996

## Kervalishvili Demands Legal Qualification to the Coup

The President of All-Georgia Human Rights Association Mr. Giorgi Kervalishvili appealed to the Chairman of the Supreme Court Mr. Mindia Ugrekhelidze on July 19, 1996.

In his statement Mr. Kervalishvili provides detailed analysis of the results of the coup of 1991- 92.

On February 2, 1996 the Association appealed to the Supreme Court demanding from the latter to provide legal qualification of the coup. However the Supreme Court even did not bother to even to send a formal answer to he Human Rights Organization leave alone considering the above issue at the Court Plenum. Instead of contributing to the restoration of the lawfulness in the country the structure initially intended for the execution of the law is actually persecuting the representatives of the legal authorities the practice of pronouncing of maximal penalties including death sentences to them basing on the faked charges such as their "illegality", "banditism", "high treason" became a literally routine procedure in the supreme court."

Mr. Kervalishvili persistently demands from the Chairman of the Supreme Court Mr. Mindia Ugrekhelidze to consider the Appeal of the association:

"Mr. Chairman, once more we are remaining you to include into the Agenda of the Supreme Court Plenum the issue brought by our #10 Motion of February 2, 1996 - provide the juridical qualification of the coup. At the same time, we demand from you to be guided by the Law and National and State interests, international juridical documents.

Mr. Chairman, proceeding from the above said, considering the national interests of Georgian people and the fact that even elementary right of the voters to elect the authorities desirable for them is violated, I appeal to you with request to bring the charge against the fact of committing the coup of December - January, 1991-1992 basing on the Articles 3, 108, 109. 110, 112 and 113 of the Criminal Code of the Republic of Georgia as unprecedented in the history of the nation anti-state crime and put to trial its organizers and inspirers, executors and participants.

Otherwise, we preserve the rights to undertake respective steps: viz., to use the extreme political and juridical methods to expose the present day Supreme Court of Georgia to the whole mankind.

## The Court Board Appointed a New Lawyer Mr. Givi Morchiladze for Nugzar Molodinashvili Without Even Asking his Consent. In relation to this the Political Prisoner Wrote a Protest Letter to the Judge A. Aladashvili saying:

## "To The Court.

I do not have any personal complains against Mr. Givi Morchiladze. I know him and respect his professional skills...

I continue to insist: this will lead you nowhere - My case should be separated and the Court hearing should proceed from the beginning. The lawyer has to participate in the trial from its beginning. Otherwise I refuse to give my consent to have the lawyer appointed by you. I am well aware that my refusal does not mean to you anything - you will appoint the lawyer irrespective of what I can do; however I once more appeal to you to look into your heart and consult with your conscience if you still have it."

Nugzar Molodinashvili

Nugzar Molodinashvili Declared a Hunger-Strike

As we were informed from the Human Rights Commission of the Helsinki Union Mr. Nugzar Molodinashvili began his hunger-strike in the evening of July 10 in Tbilisi #1 Investigation Isolator demanding to be allowed to meet with the journalists, representatives of the International Organizations and the members of the International Society for Human Rights (IGFM) in Georgia. In relation to this he has made an official appeal to the Chairman of the Supreme Court M. Ugrelidze. He put this motion as early as may 27 and was impelled to declare hunger-strike since all his legal rights and appeals were systematically neglected by he Court Board.

## The Judge is Afraid of the Public Defenders.

Two More Public Defenders were Excluded from the Court Hearing.

At the Court Session of July 12 the public defender of Mr. Nugzar Molodinashvili, the owner of the Human Rights watch Grant Mr. Giorgi Khoshtaria raised a question about his and IGFM members meeting with Mr. Molodinashvili. It is noteworthy that the statement of the Public Defender had to read the lawyer of the political prisoner Mr. Givi Morchiladze since the judge Aladashvili has removed Mr. Khoshtaria from the Court hearing.

The judge seems to be full intended to stay alone in the Court Sessions hall...

In the first half of the Session the judge removed another public defender Mrs. Tamila Lomishvili who was defending the interests of Vakhtang Kobalia. His decision the judge explained by the fact that Mrs. Lomishvili should be interrogated as a witness. The lawyer of Mr. Kobalia, Mr. Otar Pankyelashvili focused the attention of the Court Board on the fact that Mrs. Lomishvili was acting as a public defender upon the previous agreement. She provided the lawyer with the details of the Case and thus Mrs. Tamila Lomishvili cannot be interrogated as a witness in this Case. Irrespective of this the judge made a respective decision and the public defender of Mr. Kobalia was induced to leave the Court Sessions hall. Mrs. Tamila Lomishvili presented the Court with her protest statement where she says that the decision about her interrogation pursued only one aim - to remove her from the Court Hearing. In relation to this she declared the hunger-strike from 2 p.m. since July 12. At tae same time she made a protest appeal to the representative of the parliamentary Human Rights Commission Mrs. Elene Tevdoradze.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441

იბეჭდება ს/ ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia